ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №83/01-01, 04.05.2017 წ.
დანართი №1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდონეზიის უნივერსიტეტს შორის სტუდენტთა გაცვლის შესახებ ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში 2017-2018 სასწავლო წელს გამოყოფილი სტიპენდიის მიმღების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტის შერჩევა თსუ და ინდონეზიის უნივერსიტეტს შორის სტუდენტთა გაცვლის შესახებ ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017-2018 სასწავლო წლისთვის გამოყოფილი სტიპენდიის ფარგლებში.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
სტიპენდიატის კონკურსში დაშვების წინაპირობაა მიმღები უნივერსიტეტის მიერ ინგლისურ ენაში
მოთხოვნილი საერთაშორისო სერთიფიკატის ფლობა (TOEFL ITP: 550, IELTS: 6.0).

3. სტიპენდიატის შერჩევა
ა) სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.